საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030108383150515

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/17983 13 / მარტი / 2015 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ დიმიტრი ქუმსიშვილს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 2015 წლის 6 მარტის №07/1675 წერილის პასუხად, რომელიც ეხება მიმდინარე წლის 11-16 აპრილს ირანში, ქ. თეირანში დაგეგმილი საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშოროსი კომისიის მე–5 სხდომის ფარგლებში განსახილველ საქართველო–ირანის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობილი მთავრობათაშორისი კომისიის მე–5 სხდომის მემორანდუმის პროექტს, გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნული მემორანდუმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გამოხატავს თანხმობას ირანის კოოპერაციის, შრომისა და სოციალური კეთილდღეობის სამინისტროს წინადადებაზე თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობას სოციალური მხარდაჭერის, დასაქმების, შრომითი ურთიერთობისა და პროფესიულ–ტექნიკური სწავლებების სფეროში. ამ მხრივ, ქართული მხარისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნება ინსტიტუციებში (დღის ცენტრები, სათემო ორგანიზაციები, პანსიონატები) მყოფი 18 წლის ზემოთ ასაკის იმ ბენეფიციარების სწავლებისა და პროფესიული მომზადება/გადამზადების საკითხებში დახმარება, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობების გამო არ შეუძლიათ განახორციელონ კვალიფიციური შრომითი საქმიანობა.

რაც შეეხება 11-16 აპრილს თეირანში დაგეგმილი მთავრობათაშიროსი კომისიის მე–5 სხდომაში მონაწილეობის საკითხს, გაცნობებთ, რომ სამწუხაროდ, აღნიშნულ ღონისძიებაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი მონაწილეობას ვერ მიიღებს.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია